საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო
გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი

ადმინისტრაციული მიწერილობა
№ 004149

„5" ივნისი 2025 წ. ქ. თბილისი
(შედგენის ადგილი)

გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სარგებლობის სფეროში საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა დარღვევების აღმოსაფხვრელი ღონისძიებების გატარების ან რაიმე ქმედებებისაგან თავის შეკავების შესახებ

სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი
(ადმინისტრაციული მიწერილობის გამცემი ორგანოს დასახელება, იურიდიული მისამართი)
ქ. თბილისი, ვ. ნიშნიანიძის I ჩიხი N1

ადმინისტრაციული მიწერილობის ობიექტი: შპს „ყვარლი 2007" (ს/ნ 212747740)
(ფიზიკური პირის შემთხვევაში – სახელი, გვარი
იურ. მის: ქ. ქუთაისი, სულხან-საბას გამზ. N10; დირექტორი
პირადობის მოწმობის ნომერი, საცხოვრებელი ადგილი, იურიდიული პირის შემთხვევაში – იურიდიული პირის დასახელება, იურიდიული მისამართი)
სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსის 2023 წლის 24 ოქტომბრის N583/ს ბრძანებით
გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება

დარღვევები, რომლებზეც გაიცემა ადმინისტრაციული მიწერილობა: ოქმი N004149
ადმინისტრაციული მიწერილობის დანართი N1
(დარღვევების ჩამონათვალი, რომლებზეც გაიცემა მიწერილობა)

გასატარებელი ღონისძიებები: ~~[illegible]~~ N004149 ადმინისტრაციული მიწერილობის დანართი №2

(დავალების არსი, საჭიროების შემთხვევაში, შესრულების ვადები)

თან ერთვის დანართი: 4 ფურცელი

(დანართის №, გვერდების რ-ბა, დანართების არარსებობის შემთხვევაში დაისმევა z)

პასუხისმგებლობა ადმინისტრაციული მიწერილობის შეუსრულებლობის შემთხვევაში:

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 79⁸ მუხლის [illegible] [illegible] ნაწილის შესაბამისად

(კანონის მუხლ(ებ)ი, შესაბამისი პუნქტი ან ნაწილი, ქვეპუნქტი)

მიწერილობის გამცემი თანამდებობის პირი: გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე - მთავარი სახელმწიფო ინსპექტორი ნანა [illegible]

(თანამდებობა, სახელი, გვარი)

თანამდებობის პირის ხელმოწერა: ნ. [illegible]

ადმინისტრაციული მიწერილობის მიმღები (ივსება პირდაპირ ჩაბარების შემთხვევაში):

[illegible]

(რეგულირების ობიექტის წარმომადგენელი პირი, მისი ხელმოწერა და თარიღი)

2025 წლის 5 ივნისის №004149 ადმინისტრაციული მიწერილობის დანართი №1.

გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის უფროსის 2024 წლის 1 ნოემბრის №DES02400000509 ბრძანების საფუძველზე, დეპარტამენტის უფლებამოსილი თანამშრომლების მიერ, განხორციელდა ქ. ქუთაისში, სულხან-საბას ქუჩა №10 ა-ში მდებარე, შპს „კავკასია 2007"-ის (ს/კ 212747740) კუთვნილი ფოლადისა და თუჯის სხმულების საწარმოს წარმადობის გაზრდასა და ექსპლუატაციაზე, სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსის 2023 წლის 24 ოქტომბრის №583/ს ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით გათვალისწინებული პირობებისა და გარემოს დაცვის სფეროში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი ნორმების შესრულების მდგომარეობის გეგმიური შემოწმება.

ინსპექტირების შედეგად გამოვლინდა შემდეგი დარღვევები:

1. სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსის 2023 წლის 24 ოქტომბრის №583/ს ბრძანების **მე-5 პუნქტით** გათვალისწინებული პირობის შესრულების მიზნით, ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის წყაროებზე თვითმონიტორინგის კანონმდებლობით განსაზღვრულ ვალდებულებებთან ერთად (უწყვეტი ინსტრუმენტული მონიტორინგის სისტემის გათვალისწინებით), არ უზრუნველყო მონიტორინგის გეგმის ხელახალი შემუშავება და სააგენტოსთან შეთანხმება, სადაც ინსტრუმენტული მონიტორინგის საკითხები გათვალისწინებული იქნება როგორც გაფრქვევის წყაროებზე, ასევე უახლოეს საცხოვრებელ სახლთან. მონიტორინგის გეგმაში შეტანილი უნდა იყოს შერჩეული მეთოდის/ხელსაწყოს და სტანდარტის შესახებ ინფორმაცია, ასევე ინსტრუმენტული მონიტორინგის ადგილმდებარეობის UTM – X,Y კოორდინატები;

2. სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსის 2023 წლის 24 ოქტომბრის №583/ს ბრძანების **მე-6 პუნქტით** გათვალისწინებული პირობის შესრულების მიზნით, კომპანიამ არ განახორციელა ატმოსფერულ ჰაერში ინსტრუმენტული მონიტორინგი მავნე ნივთიერებებზე: მტვერზე (TSP), აზოტის დიოქსიდზე (NO2), ნახშირბადის მონოქსიდზე (CO) და ხმაურის მონიტორინგი, უახლოეს საცხოვრებელ სახლთან, საწარმოს მაქსიმალური დატვირთვის პირობებში კვარტალში ერთხელ და შედეგების სააგენტოში წარდგენა წელიწადში ერთხელ;

3. სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსის 2023 წლის 24 ოქტომბრის №583/ს ბრძანების **მე-7 პუნქტით** გათვალისწინებული პირობის შესრულების მიზნით, კომპანიამ არ უზრუნველყო ატმოსფერულ ჰაერზე ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებების კონკრეტული გეგმის შემუშავება, სადაც გათვალისწინებული უნდა ყოფილიყო საწარმოს ფუნქციონირების შეზღუდვის ღონისძიებები, მათ შორის არახელსაყრელ მეტეოროლოგიურ პირობებში და გეგმის სააგენტოსთან შეთანხმება;

4. სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსის 2023 წლის 24 ოქტომბრის №583/ს ბრძანების **მე-9 პუნქტით** გათვალისწინებული პირობის შესრულების მიზნით, შპს „კავკასია 2007" ნარჩენების მართვას არ ახორციელებს ნარჩენების მართვის კოდექსისა და მისგან გამომდინარე კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების მოთხოვნებისა და ვალდებულებების შესაბამისად. კერძოდ, კომპანია არ ახორციელებს ნარჩენების აღრიცხვას/დოკუმენტირებას, ასევე, ვერ იქნა წარმოდგენილი სახიფათო ნარჩენების მართვის მიზნით, შესაბამის გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მქონე ორგანიზაციასთან გაფორმებული ხელშეკრულება;

5. სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსის 2023 წლის 24 ოქტომბრის №583/ს ბრძანების **მე-10 პუნქტით** გათვალისწინებული პირობის შესრულების მიზნით, კომპანიას სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში არ აქვს წარდგენილი ნარჩენი წიდისა და მტვრის საბოლოო განთავსებასთან დაკავშირებით შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიასთან" შეთანხმების შესახებ ინფორმაცია;

6. სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსის 2023 წლის 24 ოქტომბრის №583/ს ბრძანების **მე-11 პუნქტით** გათვალისწინებული პირობის შესაბამისად, კომპანია არ უზრუნველყოფს ტექნოლოგიურ ციკლში ჩართულ დანადგარებისა და აირმტვერდამჭერი სისტემის გამართულობაზე მუდმივ მონიტორინგს.

შემოწმების შედეგად გამოვლენილ დარღვევებზე, 2024 წლის 25 ნოემბერს, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 79^8 მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, შპს ,,კავკასია 2007''-ის მიმართ, შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ № 088810 ოქმი, რომელიც განსახილველად გადაეგზავნა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს.

სასამართლომ, 2025 წლის 20 იანვრის №4/844-24 დადგენილებით, კომპანია სცნო ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩამდენად, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 79^8 მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ ქმედებაში და ამავე კოდექსის 22-ე მუხლის საფუძველზე გამოუცხადა სიტყვიერი შენიშვნა. დღეს არსებული მდგომარეობით, დადგენილება შესულია კანონიერ ძალაში.

გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის 46-ე მუხლი შესაბამისად, სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება ადგენს გონივრულ ვადას გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით განსაზღვრული პირობების შესრულებისთვის.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შპს „კავკასია 2007"-ის მიმართ შემუშავდა დეპარტამენტის 2025 წლის 5 ივნისის №004149 ადმინისტრაციული მიწერილობა.

შპს „კავკასია 2007“-ის (ს/კ 212747740) კუთვნილი ფოლადისა და თუჯის სხმულების საწარმოს წარმადობის გაზრდასა და ექსპლუატაციაზე, სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსის 2023 წლის 24 ოქტომბრის №583/ს ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით გათვალისწინებული პირობებისა და გარემოს დაცვის სფეროში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი ნორმების შესრულების მდგომარეობის გეგმიური შემოწმებისას გამოვლენილი დარღვევების აღმოსაფხვრელად, **შპს „კავკასია 2007“ ვალდებულია**:

1. ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან **არაუგვიანეს 1 (ერთი) თვის ვადაში** უზრუნველყოს, ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის წყაროებზე თვითმონიტორინგის კანონმდებლობით განსაზღვრულ ვალდებულებებთან ერთად (უწყვეტი ინსტრუმენტული მონიტორინგის სისტემის გათვალისწინებით), მონიტორინგის გეგმის ხელახალი შემუშავება და სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში შესათანხმებლად წარდგენა, სადაც ინსტრუმენტული მონიტორინგის საკითხები გათვალისწინებული იქნება როგორც გაფრქვევის წყაროებზე, ასევე უახლოეს საცხოვრებელ სახლთან. მონიტორინგის გეგმაში შეტანილი უნდა იყოს შერჩეული მეთოდის/ხელსაწყოს და სტანდარტის შესახებ ინფორმაცია, ასევე ინსტრუმენტული მონიტორინგის ადგილმდებარეობის UTM – X,Y კოორდინატები. შემდგომში, **მუდმივად უზრუნველყოს** მონიტორინგის გეგმით განსაზღვრული ღონისძიებების შესრულება (სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსის 2023 წლის 24 ოქტომბრის №583/ს ბრძანების **მე-5 პუნქტი**);

2. ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან **არაუგვიანეს 1 (ერთი) თვის ვადაში**, უახლოეს საცხოვრებელ სახლთან **განახორციელოს** ატმოსფერულ ჰაერში ინსტრუმენტული მონიტორინგი შემდეგ მავნე ნივთიერებებზე: მტვერი (TSP), აზოტის დიოქსიდი (NO2), ნახშირბადის მონოქსიდი (CO), ასევე, განახორციელოს ხმაურის მონიტორინგი, საწარმოს მაქსიმალური დატვირთვის პირობებში, **ხოლო შემდგომ, კვარტალში ერთხელ**, უზრუნველყოს მონიტორინგის ჩატარება. ასევე, ჩატარებული მონიტორინგის შედეგები, **არაუგვინეს მომდევნო წლის 31 იანვრის ჩათვლით, ყოველწლიურად** წარადგინოს სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში (სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსის 2023 წლის 24 ოქტომბრის №583/ს ბრძანების **მე-6 პუნქტი**);

3. ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან **არაუგვიანეს 1 (ერთი) თვის ვადაში** უზრუნველყოს, ატმოსფერულ ჰაერზე ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებების კონკრეტული გეგმის შემუშავება, სადაც გათვალისწინებული იქნება საწარმოს ფუნქციონირების შეზღუდვის ღონისძიებები, მათ შორის არახელსაყრელ მეტეოროლოგიურ პირობებში და სააგენტოში შესათანხმებლად წარდგენა (სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსის 2023 წლის 24 ოქტომბრის №583/ს ბრძანების **მე-7 პუნქტი**). შემდგომში, მუდმივად უზრუნველყოს შეთანხმებული გეგმით განსაზღვრული ღონისძიებების შესრულება;

4. ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან **დაუყოვნებლივ დაიწყოს და** ნარჩენების მართვა **მუდმივად** უზრუნველყოს ნარჩენების მართვის კოდექსისა და მისგან გამომდინარე კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების მოთხოვნებისა და ვალდებულებების შესაბამისად. მათ შორის:

4.1. ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან **არაუგვიანეს 1 (ერთი) თვის ვადაში** უზრუნველყოს სახიფათო ნარჩენების მართვის მიზნით შესაბამისი გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მქონე ორგანიზაციასთან ხელშეკრულების გაფორმება (სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსის 2023 წლის 24 ოქტომბრის №583/ს ბრძანების **მე-9 პუნქტი);**

4.2. ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან **დაუყოვნებლივ დაიწყოს და შემდგომში მუდმივად** უზრუნველყოს ნარჩენების აღრიცხვა და დოკუმენტირება;

5. ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან **არაუგვიანეს 1 (ერთი) თვის ვადაში** უზრუნველყოს, ნარჩენი წიდისა და მტვრის საბოლოო განთავსებასთან დაკავშირებით შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიასთან" შეთანხმების შესახებ ინფორმაციის სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში წარდგენა (სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსის 2023 წლის 24 ოქტომბრის №583/ს ბრძანების **მე-10 პუნქტი);**

6. ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან **დაუყოვნებლივ დაიწყოს და შემდგომ ექსპლუატაციის ეტაპზე** უზრუნველყოს ტექნოლოგიურ ციკლში ჩართული დანადგარებისა და აირმტვერდამჭერი სისტემის გამართულობის მუდმივი მონიტორინგი (სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსის 2023 წლის 24 ოქტომბრის №583/ს ბრძანების **მე-11 პუნქტი).**